



# შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს  
გადანწყვეტილებით №25*

*2016 წლის 3 სექტემბერი ოქმი №9  
ქალაქი რუსთავი*

**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

## **თავი I ზოგადი დებულებები**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება - შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების არსებით შემადგენელ პირობებს, სტუდენტის შეფასების სისტემას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესებს, ინფორმაციას სწავლებისა და სწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

1.3. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, ხოლო სხვა ენაზე სწავლება (უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება), გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

1.4. სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზებას/მართვას ახორციელებენ: რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო დეპარტამენტი. საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ი - ფაკულტეტ(ებ)ის და მის სტრუქტურაში შემავალი სპეციალისტები.

## **თავი II**

**სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**

**მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი).**

2.1. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (ბაკალავრიატი) საფეხურზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების ან მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.

2.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამის ფაკულტეტზე/ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მქონე პირთა სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2.4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

2.5. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

2.6. აბიტურიენტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაჟების შემთხვევაში).

2.7. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მათთან სტუდენტის ხელშეკრულებას. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

2.8. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართვს სასწავლო უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში უფლებამოსილია, მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

### **მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა)**

3.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დანესებულება უფლებამოსილია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები სპეციალობაში და ინგლისურ ენაში. შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა/გამოცდები დგინდება პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის კოლეგიური ორგანო ფაკულტეტის საბჭო.

3.2. ინგლისური ენის ფლობა დგინდება კონკრეტული პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

### **მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე**

4.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## **მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე**

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

## **მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სტუდენტის პირადი განცხადება (მიზგზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) ფინანსური დავალიანება

ე) დისციპლინური გადაცდომა.

6.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

6.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

6.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, დაწესებულება და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

6.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ უწყდება სტუდენტს სტატუსი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

6.7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

## **მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

7.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;

დ) გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება სასამართლოს მიერ;

ე) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

7.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები:

ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოშლას. აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

## **მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

8.1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი.

## **მუხლი 9. დამატებითი სემესტრის აღება**

9.1. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში.

9.2. სასწავლო კრედიტის საფასური განისაზღვრება სასწავლო კურსისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით: მიმდინარე წლიური გადასახადი იყოფა წლიური კრედიტების რაოდენობაზე - 60-ზე, რის შედეგად მიიღება 1 კრედიტის საფასური, აღნიშნული ფორმულით.

9.3 დამატებითი სემესტრის/სემესტრების სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის ბრძანებით შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად.

## **მუხლი 10. მობილობა**

10.1 სასწავლო უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში გადასვლის წესის“, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში და ამ აქტის შესაბამისად;

10.2 დაწესებულება უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

10.3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

10.4 მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

10.5 თუ სასწავლო უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

10.6 რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის სასწავლო უნივერსიტეტში წარმოდგენა. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სასწავლო უნივერსიტეტს ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.7 სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს



წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს, სტუდენტის განცხადებას და თანხმობას აღიარებული კრედიტებისა და განსაზღვრული სემესტრის შესახებ, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც ცენტრი ამონმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიყენება რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10.8 დაწესებულებიდან გადასვლისას - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნის საფუძველზე გამოიყენება ბრძანება სხვა სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი სასწავლო უნივერსიტეტში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადამსვლელი სტუდენტის პირადი საქმის ქსეროასლი დაიტოვოს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინება 7 ოქტომბრამდე – შემოდგომის ან 7 მარტამდე – გაზაფხულის სემესტრში.

## **მუხლი 11. შიდა მობილობა**

11.1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა;

11.2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტი; შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირისა;

11.3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება

აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;

11.4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

11.5. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის წესების შესაბამისად.

11.6. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ დაწესებულია ვალდებულება შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

11.7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად ფორმდება რექტორის ბრძანებით.

## **მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**

12.1. შესაბამისი ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ადგენს დასკვნას/შედარების აქტს შესაბამისი კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ;

12.2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

12.3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ) თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიმღები ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული ECTS კრედიტი, აღიარება ხდება მიმღები ფაკულტეტის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით.

12.4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. თავისუფალი კრედიტების ზემოთ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი დროებითი კომისია უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე:  $60 \times 3 / 25 = 7,2$ , დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100-ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად;

შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად;

შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩათვალა“–ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100–ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ.  $81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81$  (B).

12.6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

12.7. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტის/დასკვნის საფუძველზე გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ.

### **მუხლი 13. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება**

13.1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

13.2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

13.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ჩარიცხვაზე თანხმობის ბრძანების საფუძველზე იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **თავი III**

### **მუხლი 14. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება და სწავლის საფასური**

14.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის საფასურს ადგენს რექტორი ბრძანებით.

14.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში. სტუდენტთან შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სწავლის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი;

14.3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დათვარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში სემესტრის შესაბამისად;

14.4. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადანაცვების წესი და სხვა.

**თავი IV უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი**

**მუხლი 15. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

15.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

15.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადანაცვტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პროგრამის გაუქმების შესახებ რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

15.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით:

15.2.1. სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, სასწავლო კურსის დამატება, გაუქმება, კრედიტების რაოდენობის ცვლილება და სხვა) შეტანის შემთხვევაში, აღიარება მოხდება კრედიტების თავსებადობის შესაბამისად.

15.2.2. სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

15.2.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია გადადის მიღვევად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

ბ) შესთავაზოს სტუდენტებს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები/თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავსებადი და რელევანტური იქნება სხვა პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

გ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

## თავი V შეფასების სისტემა

### მუხლი 16. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)

16.1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ა) საკონტაქტო საათი-საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმხორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

ბ) დამოუკიდებელი საათი-საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმხორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

გ) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

16.2. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.

16.3. სასწავლო კომპონენტი არის ერთ სემესტრიანი.

16.4. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

16.5. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

16.6. კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმხორციელებელ პირთა საკონსულტაციო დრო.

16.7. სასწავლო უნივერსიტეტში ერთიდაიგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

16.8. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაოჯგუფში მუშაობას/სემინარებს, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მუშაობებს;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სანარმოო პროექტებს;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) დამოუკიდებელ მუშაობას;

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომი) მუშაობას;

ზ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას.

16.9. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (40 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 საათს.

16.10 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75(ECTS) კრედიტს.

## **მუხლი 17. სტუდენტის მიღწევების შეფასება**

17.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის 17.5. პუნქტის გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

17.2. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შეფასების შემდეგ ფორმებს: შუალედური შეფასება(მიმდინარე შეფასებები, პირველი და მეორე შუალედური გამოცდა (მე-6 და მე-11 კვირას)-მაქსიმუმ 60 ქულა, დასკვნითი გამოცდა-მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური შეფასების კომპონენტებია: ზეპირი/ წერილი გამკითხვა-20 ქულა, პირველი შუალედური გამოცდა 20 ქულა; მეორე შუალედური გამოცდა-20 ქულა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. შუალედური შეფასებისას შეფასების მეთოდებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს: ტესტი, ესე, პრეზენტაცია, დისკუსია, პროექტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა; დასკვნითი გამოცდა: მაქსიმუმ 40 ქულა, დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. დასკვნით გამოცდაში შეფასების კომპონენტებია ზეპირი/წერილი გამოცდა. შეფასების



მეთოდებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ტესტი, ესე, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება და სხვა. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განვირგნოთ სასწავლო კურსების სილაბუსებში.

17.3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განვირგნოთ სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში.

17.4. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

17.5. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთისა ხის დადებით შეფასებას:

ა.ა) A თერიალი-შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) B ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) C კარგი-მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) D დამაკმაყოფილებელი-მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) E საკმარისი-მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორისა ხის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) FX ვერ ჩააბარა-მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) F ჩაიჭრა-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

17.6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ეხება სამაგისტრო ნაშრომს

17.7. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

17.8. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

17.9. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

17.10. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

## თავი VI სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები

### მუხლი 18. სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები

18.1. სწავლება-სწავლის მეთოდი-საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო გუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.)

## თავი VII

### მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

19.1. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/მოდულები ;

19.2. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება სემესტრის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ. სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება/დარეგისტრირება შესაბამის ფაკულტეტზე.

19.3 არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევითობას უზრუნველყოფს სასწავლო დეპარტამენტი. სტუდენტები სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ არჩევით სასწავლო კურსებს.

**თავი VIII ენობრივი კომპონენტის არჩევის, გავლის და განსაზღვრის წესი.**

**მუხლი 20.** ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში I-დან V სემესტრის ჩათვლით შეთავაზებულია უცხოური ენის კომპონენტი 24 + 6 კრედიტის მოცულობით: 30 კრედიტი – უცხოური ენა.

სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი.

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა სტუდენტი;
2. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება ენობრივი დონის განმსაზღვრელი გამოცდა;
3. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე;
4. საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
5. საგამოცდო მასალის (ტესტის) დამტკიცებასა და გამოცდის ორგანიზებას უზრუნველყოფს სასწავლო დეპარტამენტი.
6. სტუდენტები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებულნი არიან გაიარონ სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი;
7. სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2, ხოლო ყალიბდება 4 დონის ჯგუფი: Starter, A1, A2, B1;
8. სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე, საშუალება აქვთ შეისწავლონ მეორე უცხო ენა (რუსული ან ესპანური ენა).

**თავი IX აკადემიური წელი**

**მუხლი 1 აკადემიური წელი**

21.1 აკადემიური წელი მოიცავს 40 კვირას.

21.2. აკადემიური წელი არის ორ სემესტრიანი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას.

21.3. სემესტრში კვირები ნაწილდება სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის მიხედვით დამტკიცებული აკადემიური კალენდრის მიხედვით, რომელიც თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

## **თავი X საგანმანათლებლო პროგრამები**

### **მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი**

22.1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ) სფეროს აღწერა;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამოუმუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ლ) სწავლის შედეგი;
- მ) დასაქმების სფერო;
- ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ო) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- ჟ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

22.2 პროგრამას თან უნდა ახლდეს:

- ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

22.3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღინერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი შედეგები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) დასკვნის გაკეთების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები;

22.4. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მონვეული პერსონალის მიერ.

22.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური ან მონვეული პერსონალი.

22.6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

22.7. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) კურსის განმახორციელებელი (აკადემიური ან მონვეული პერსონალი);

გ) სასწავლო კურსის მიზნები;

დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

ე) დაშვების წინაპირობები;

ვ) სწავლის შედეგები;

ზ) სასწავლო კურსის შინაარსი;

თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;

ი) შეფასების კრიტერიუმები;

კ) სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

22.8. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია შეცვლილი სილაბუსი წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

22.9. სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამებს შეიმუშავენ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით. პროგრამის განხილვა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

22.10 საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისი ცვლილება მტკიცდება წინამდებარე წესის 22.9 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

### **მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება**

23.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

23.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

23.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს.

23.4. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გამოკითხვას ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გამოკითხვის შედეგების შეჯერების შემდეგ

იღებს შესაბამის ქმედით ღონისძიებებს, საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში გაუმჯობესების მიზნით.

23.6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას.

## **თავი XI გამოცდების ჩატარების წესი**

### **მუხლი 24. გამოცდების ჩატარების წესი**

24.1. გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში. საგამოცდო რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე. რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში; სტუდენტებს გაეცნობათ გამოცდაზე ქცევის წესები.

24.2. გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით; დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად.

24.3. გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს.

24.4. საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

2324.5. დაუშვებელია გამოცდაზე სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება, ან მისი მცდელობა ან სხვა პირის ხელშეწყობა დახმარების მისაღებად.

24.6. სტუდენტის გამოცდიდან გაძევების საფუძვლებია: საგამოცდო მასალების მოპოვება; ნებადართულის გარდა სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება; საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება; კონსპექტების, „შპარგალკების“, წიგნების და სხვა მასალების გამოყენება; სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა; საკუთარი ნაშრომის ან ქალაქის ჩვენება ან გადაწოდება სხვა სტუდენტისათვის ან ასეთი მოქმედების ხელშეწყობა; საუბარი, ხმაური, უესტიკულაციის გამოყენება; სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით; სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში; საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით; სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება; გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცყოფა; საგამოცდო მასალებზე ყალბი ინფორმაციის მითითება;

24.7. საგამოცდო პროცედურის/შედეგების გაპროტესტება შესაძლებელია წერილობით, ფაკულტეტის დეკანთან, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში.

## **მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება**

25.1. სასწავლო უნივერსიტეტში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, ფაკულტეტი, წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

25.2. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, მიიღო პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მიაღწია საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ შედეგებს. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას ყველა კომპონენტში მხოლოდ "A" და "B" შეფასებების მიღების, პროგრამის კომპონენტების არანაკლებ 75%-ში "A" (ფრიადი), დანარჩენებში კი "B" (ძალიან კარგი) შეფასებების შემთხვევაში გაიცემა წარჩინების დიპლომი, ყველა სხვა შემთხვევაში-ჩვეულებრივი დიპლომი. დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით;

25.3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში;



25.4. საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭო შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პირად საქმეებს, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი სავალდებულო კრედიტების მიღების საკითხს იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

25.5. თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა, მას არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ კომისია იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

25.6. თუ სტუდენტს, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულებით, მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება დასრულებულად და კომისია იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭებისა და ზემოთ მითითებული პირობების შესაბამისად "წარჩინებით"/"ჩვეულებრივი" დიპლომის გაცემის შესახებ;

25.7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილება -

1) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამი კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის ("წარჩინებით"/"ჩვეულებრივი") მითითებით);

2) კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის სტუდენტების სახელების და გვარების და კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველის მითითებით);

25.8. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებულს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების შედეგად.

25.9. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული კანონმდებლობით დადგენილი ფორმის , შესაბამისი დანართით.

## **მუხლი 26. დასკვნითი დებულება**

ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ წესით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.